

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 07 02

პროგრამის დასახელება:

ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2020-2023 წლები

პროგრამის მიზანი:

ქალაქის ეკონომიკური განვითარება, ბიზნესის ხელშეწყობა

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ინდუსტრიული საწარმოო ბიზნეს ცენტრის შექმნა;
- ეკონომიკური ფორუმების ორგანიზება;
- ბათუმის ისტორიული განაშენიანების საზღვრებში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცენტრების განვითარების მხარდაჭერა.

პროგრამის ბიუჯეტი

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის შექმნა	150 000	0	50 000	50 000	50 000
ეკონომიკური ფორუმების ორგანიზება	330 000	50 000	80 000	100 000	100 000
ბათუმის ისტორიული განაშენიანების საზღვრებში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცენტრების განვითარების მხარდაჭერა	800 000	0	200 000	200 000	400 000
სულ პროგრამა	1 280 000	50 000	330 000	350 000	550 000

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

გაზრდილია ბიზნეს და სამეწარმეო აქტივობა

დამატებითი ინფორმაცია

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მოგროვების მეთოდი
		2019 წელი (საბაზისო)	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი				
გაზრდილია ბიზნეს და სამეწარმეო აქტივობა	ინდუსტრიული/საწარმო ბიზნეს ინკუბატორში განთავსებული ბიზნეს სუბიექტების (მათ შორის სტარტაპების) რაოდენობა;		N/A	2	2	2	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი
	ბათუმის ისტორიული განაშენიანების საზღვრებში ახალი მცირე ბიზნესების რაოდენობა		10	0	0	0	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 07 02 04

ქვეპროგრამის დასახელება:

ეკონომიკური ფორუმების ორგანიზება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	50 000
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	50 000

ქვეპროგრამის მიზანი:

ბიზნესთან ინტერაქტიული კომუნიკაციის დამყარება, ქალაქებს შორის რეგიონული თანამშრომლობის ინიცირება

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის მიზანია შეიქმნას პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით ადგილობრივი განვითარების საკითხებზე, კერძოდ: მდგრად განვითარების ქვეშ გაერთიანებულ ურბანულ საკითხებზე, ბიზნესის განვითარებისა და საინვესტიციო შესაძლებლობებზე შეხედულებების, მოსაზრებების, წინადადებების, პროექტების და საუკეთესო გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, ურთიერთთანამშრომლობის სამომავლო გზების დასახვას, ერთობლივი პროექტების დაგეგმვას და განხორციელებას.

პროექტის ფარგლებში დაარსდება ბათუმის მდგრადი ურბანული განვითარების ფორუმი, როგორც ყოველწლიური ღონისძიება, რომელიც აქცენტს გააკეთებს მდგრადი განვითარების სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებულ საკითხებზე, როგორცაა სტრატეგიული და ურბანული დაგეგმარება, სატრანსპორტო სისტემების განვითარება, სასმელი წყლისა და ჩამდინარე წყლების მართვა, კატასტროფების რისკების შემცირება, კლიმატის ცვლილების შერბილება და ადაპტაცია, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, განათლება და შესაძლებლობების გაძლიერება. ფორუმი არსებულ გამოწვევებზე, გადაჭრის გზებსა და საუკეთესო პრაქტიკაზე მსჯელობის მიზნით გაერთიანებს ხელისუფლების, კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს, პარტნიორ ქალაქებსა და ორგანიზაციებს.

ბათუმის ადგილობრივი განვითარების ფორუმები იქნება:

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ინიციატივა უზრუნველყოს სივრცე მულტიდისციპლინარული დიალოგისათვის მდგრად ურბანულ განვითარებასთან, ბიზნეს და საინვესტიციო შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
- ინტერაქტიული პლატფორმა, რომელიც თავს მოუყრის შესაბამისი დარგების ექსპერტებსა და სპეციალისტებს საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორიდან. ხელს შეუწყობს სინერგიული კავშირების იდენტიფიცირებასა და თანამშრომლობის ინიცირებას;
- შეხვედრის ადგილი გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებიდან, პარტნიორი ქალაქებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან გამოცდილების გაზიარების, პოლიტიკის ინსტრუმენტებისა და წარმატებული პრაქტიკის განსაზღვრისათვის განვითარების არსებული გამოწვევების საპასუხოდ.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ბათუმის მდგრადი განვითარების ფორუმი	1	50 000	50 000
სულ ქვეპროგრამა			50 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ბათუმის მდგრადი განვითარების ფორუმი	X	X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2020 წელი)

ორგანიზებული და განხორციელებულია ბათუმის მდგრადი განვითარების ფორუმი

დამატებითი ინფორმაცია

--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ორგანიზებული და განხორციელებულია ბათუმის მდგრადი განვითარების ფორუმი.	ფორუმის ოფიციალურ მონაწილეთა რაოდენობა	არანაკლებ 60 ადამიანი	ადამიანი	ქ. ბათუმის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური	წელიწადში ერთხელ	ქ. ბათუმის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური	მონიტორინგი
	ფორუმში მონაწილე შესაბამისი დარგის ექსპერტთა რაოდენობა	არანაკლებ 5 საერთაშორისო ექსპერტი	ადამიანი	ქ. ბათუმის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური	წელიწადში ერთხელ	ქ. ბათუმის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური	მონიტორინგი
	პარტნიორი ორგანიზაციების თანამონაწილეობა	მინიმალური თანაფარდობა 10/90-ზე	რაოდენობა	ქ. ბათუმის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური	წელიწადში ერთხელ	ქ. ბათუმის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური	მონიტორინგი